ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში

www.eumm.eu
www.facebook.com/EUMM.GEO

ინფორმაცია მისიის შესახებ

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიაა. იგი ევროკავშირის მიერ 2008 წლის 15 სექტემბერს დაარსდა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ადგილზე სიტუაციის სტაბილიზაციის ხელშესაწყობად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ 200-ზე მეტი სამოქალაქო დამკვირვებელი გამოიგზავნა. ისინი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მიერ ევროკავშირის შუამავლობით ხელმოწერილ 12 აგვისტოს ექვსპუნქტიან შეთანხმებასა და 2008 წლის 8 სექტემბრის განხორციელების ზომების ხელშეკრულებასთან ყველა მხარის შესაბამისობში ყოფნას აკვირდებიან.

მისიამ სადამკვირვებლო საქმიანობა 2008 წლის 1 ოქტომბერს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიებიდან რუსული შეიარაღებული ძალების გაყვანის პროცესზე დაკვირვებით დაიწყო. მას შემდეგ, მისია ახორციელებს 24 საათიან პატრულირებას და განსაკუთრებულ ყურადღებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რეგიონების ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებს უთმობს.

მისიის ძალისხმევა, ძირითადად, ადგილზე არსებულ მდგომარეობაზე დაკვირვებასა და ინციდენტების შესახებ ანგარიშების წარდგენას მოიცავს. ასევე, შესაბამის მიდამოებში ადგილზე ყოფნით მისია ზოგადად უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

მანდატი

მისიის მანდატი სტაბილიზაციას, ნორმალიზაციას, ნდობის აღდგენას და ასევე, ევროპული პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრუქტურების ინფორმირების მიზნით, ევროკავშირისათვის და მისი წევრი ქვეყნებისთვის ანგარიშების წარდგენას მოიცავს, რაც რეგიონში ევროკავშირის სამომავლო ჩართულობას უწყობს ხელს.

მანდატი, რომელიც თავდაპირველად 12 თვეზე იყო გათვლილი უკვე ექვსჯერ გაგრძელდა. 2016 წლის 12 დეკემბერს ევროპის საბჭომ იგი 2018 წლის 14 დეკემბრამდე გააგრძელა.

მანდატის მიხედვით, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოს მთელს ტერიტორიას ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში მოიცავს. რამდენიმე ერთობლივი ვიზიტის გარდა, რომელიც კონკრეტულ შემთხვევებთან იყო დაკავშირებული, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებები მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე მისიის შესვლის შესაძლებლობის უზრუნველყოფაზე უარს აქამდე ამბობენ.

უპირველეს ყოვლისა, მისია შეიარაღებული კონფლიქტის ნებისმიერი განახლების თავიდან აცილებასა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებზე ადგილობრივი მოსახლეობისათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ყველა მხარესთან მუშაობს.

მისიას სურს ხელი შეუწყოს გადაადგილების თავისუფლებას ადმინისტრაციული საზღვრების მახლობლად მცხოვრები მოსახლეობისთვის, რათა მოსახლეობამ შიშისა და დაბრკოლებების გარეშე შეძლოს ყოველდღიურ ცხოვრებას გაუძღვეს.

მონაცემები და ფაქტები მისიის შესახებ

მდებარეობა::	საქართველო
სათავო ოფისი:	თბილისი
რეგიონალური ოფისები:	გორი, მცხეთა და ზუგდიდი
მისიის დაწყების თარიღი:	2008 წლის 1 ოქტომბერი
მისიის მანდატი:	ძალაშია 2018 წლის 14 დეკემბრამდე
მისიის ხელმძღვანელი	მარეკ შჩიგელი
მისიის შემადგენლობა:	ევროკავშირის 200 დამკვირვებელი
მისიის მიმდინარე წლის ბიუჯეტი:	38, 2 მილიონი ევრო
მონაწილე ქვეყნები:	ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს შეუძლია მისიაში წვლილის შეტანა

მანდატის განხორციელება

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა სხვადასხვა სამოქალაქო, საპოლიციო და სამხედრო გამოცდილების მქონე, როგორც მამაკაცი, ასევე ქალი დამკვირვებელი გამოგზავნა მისიაში. მისიის სათაო ოფისი თბილისში მდებარეობს, ხოლო სამი რეგიონალური ოფისი - მცხეთაში, გორსა და ზუგდიდში. თითოეულ რეგიონალურ ოფისში დამკვირვებლები დაყოფილნი არიან სამ თემატურ ჯგუფად, რომელიც მუშაობს:

- ადმინისტრაციულ საზღვრებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე, აკვირდება იმ საკითხებს, რომელიც ეხება სტაბილიზაციას, ნორმალიზაციას და ნდობის აღდგენას;
- საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან შესაბამისობაზე;
- ადამიანის უსაფრთხოების ასპექტებზე კონფლიქტის მართვისას.

მანდატის განხორციელება რეგულირდება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და საქართველოს ხელისუფლებას შორის გაფორმებული სამი ხელშეკრულებით:

- 2009 წლის იანვარში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის დადებული წინასწარი შეთანხმება ინფორმაციის გაცვლის შესახებ, რომელიც 2010 წლის ივლისში შესწორდა, ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებზე ზღუდავს საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების და მძიმე ტექნიკის განლაგებას. საქართველოს მთავრობის მიერ ცალმხრივად გადადგმული ეს ნაბიჯი ხელს უწყობს ადგილზე უსაფრთხოებასა და სტაბილურობას და ექვსპუნქტიანი შეთანხმების მიხედვით ძალის არ გამოყენების პრინციპის განმტკიცებისკენ არის მიმართული. უსაფრთხოების მდგომარეობა უფრო მეტად გაუმჯობესდებოდა, თუ საპასუხო ზომების გატარება და ანალოგიური ვალდებულების აღება მოხდებოდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან.
- 2008 წლის ოქტომბერში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ხელმოწერილი ტექნიკური შეთანხმებები გამჭვირვალეს ხდის და შეზღუდვებს აწესებს ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებზე საქართველოს საპოლიციო ძალების მიერ გამოყენებულ აღჭურვილობაზე და განხორციელებულ საქმიანობაზე. უსაფრთხოების მდგომარეობა უფრო მეტად გაუმჯობესდებოდა, თუ საქართველოს ამ ცალმხრივად აღებულ ვალდებულებისა და შემაკავებელი ზომების ანალოგიურს რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების სტრუქტურები განახორციელებდა.
- 2015 წლის ნოემბერში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შორის ხელმოწერილი ტექნიკური ხელშეკრულება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას უზრუნველყოფს პრივილეგიებით დააკვირდეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურებსა და პერსონალს ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე, რითაც იზრდება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის გამჭვირვალობა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმების ანალოგიურად, იგი შეიცავს საქართველოს მთავრობის ცალმხრივ ვალდებულებას დააწესოს შეზღუდვები ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობასა და აღჭურვილობაზე..

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი

2009 წლის თებერვალში ჟენევის მოლაპარაკებებზე მიღწეული შეთანხმების თანახმად კონფლიქტის მხარეებს შორის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში რეგულარული შეხვედრები გაიმართებოდა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, გაეროს, ეუთოს, საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები კონკრეტულ ინციდენტებსა და საკითხებს განიხილავენ და მოაგვარებენ. ეს შეხვედრები სასარგებლოა მხარეებს შორის ნდობისა და თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

მექანიზმს სატელეფონო სისტემა "ცხელი ხაზი" ახლავს, რომელიც ორივე რეგიონთან დაკავშირების საშუალებას იძლევა. ცხელი ხაზის სისტემა მონაწილეებისათვის კონკრეტული ინციდენტების დროს განვითარებული მოვლენების შესახებ საერთო აზრის სწრაფი შექმნისათვის მეტად სასარგებლოა და მან არაერთხელ შეუწყო ხელი შესაძლო დაძაბულობის განმუხტვას.

ფართო წარმომადგენლობის წყალობით, მისიას გააჩნია შესაძლებლობა მუდმივად და დროულად შეაგროვოს ინფორმაცია ადგილზე არსებული სიტუაციის შესახებ. საჭიროებისამებრ, მოცემული ინფორმაცია შემდეგ შესაბამის ადგილობრივ, სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს გადაეცემა, რომელიც პასუხისმგებელია კონკრეტული დახმარების გაწევაზე.

ძირითადი გამოწვევები და წარმატებები

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის შემადგენელი კომპონენტის, სტაბილიზაციის შედეგები შესამჩნევია, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი სამუშაოა ჩასატარებელი ნდობის აღსადგენად. ამავე დროს, მისია მტკიცედ აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში შესვლის უფლების უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს გამჭვირვალობის გაზრდას, ნათელს მოჰფენს უკვე მომხდარ ინციდენტებს და ამით შეამცირებს მადესტაბილიზირებელი ინციდენტების რისკს მომავალში.

2008 წლის ექვსპუნქტიანი შეთანხმება განხორციელების ზომების ხელშეკრულებასთან ერთად ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ადგილზე უწყვეტი ყოფნის და სიტუაციის სტაბილიზაციაზე მიმართული ძალისხმევის საფუძველია. განსახორციელებელი რჩება შეთანხმების მეხუთე პუნქტი, რადგანაც რუსეთის სამხედრო პერსონალის და ტექნიკის უწყვეტი ყოფნა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში შეთანხმების ამ ნაწილის დარღვევას წარმოადგენს.

2008 წლის შემოდგომაზე ხშირად გამოთქვამდნენ შეშფოთებას, რომ საომარი მოქმედებების განახლების კონკრეტული შესაძლებლობა არსებობდა. დღეს, მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის მოგვარებამდე ჯერ კიდევ შორია, გაიზარდა უსაფრთხოების შეგრძნება კონფლიქტის მხარეებს შორის და ადგილობრივ მოსახლეობაში და ასევე, გამყარდა სტაბილიზაციის პროცესი.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე გარკვეული წარმატებები დაფიქსირდა, განსაკუთრებით იქიდან გამომდინარე, რომ შეხვედრებზე ყველა მონაწილეს საშუალება ეძლევა განიხილოს კონკრეტული მოვლენები და ინციდენტები და ასევე წამოჭრას საერთო უსაფრთხოების მდგომარეობასთან და მშვიდობიანი მოსახლეობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ევროკავშირის წევრი და სხვა ქვეყნების მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ელემენტად განიხილება.

განახლებულია 2020 წლის მარტში